საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 1 16 01432898

30/11/2016

ააიპ "საქართველოს რეფორმების ასოციაციის" წარმომადგენელს
ბატონ დიმიტრი ავალიანს
ელ. ფოსტა: n.vakhtangashvili@factcheck.ge

ბატონო დიმიტრი,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2016 წლის 16 ნოემბრის N302 კორესპონდენციის (სამინისტროში რეგისტრაციის N1399927; 21.11.2016) პასუხად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების შესაბამისად გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საბუთების განხილვის შემდეგ გამოიცემა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ენიჭებათ სწავლის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. უნივერსიტეტში ჩარიცხვას ახორციელებს კონკრეტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში. შესაბამისად, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტად დარეგისტრირებული უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შესახებ ინფორმაცია აისახება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტუდენტთა რეესტრში, საგანმანათლებლო პროგრამის და სწავლის საფასურის მითითებით.

"საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის "ბ" პუნქტის შესაბამისად, დანართის სახით, გეგზავნებათ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

აქვე განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220

დანართი: 1 (ერთი) ელექტრონული ფაილი

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი / საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად გამოქვეყნების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
მედიკო მიროტაძე